

1987 წლის მონრეალის ოქმი ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების შესახებ

მხარეთა მეორე შეხვედრის (ლონდონი, 1990 წლის 27-29 ივნისი), მეოთხე შეხვედრის (კოპენჰაგენი, 1992 წლის 23-25 ნოემბერი), მეშვიდე შეხვედრის (ვენა, 1995 წლის 5-7 დეკემბერი) და მეცხრე შეხვედრის (მონრეალი, 1997 წლის 15-17 სექტემბერი) მიერ მიღებული შესწორებების გათვალისწინებით

პრეამბულა

წინამდებარე ოქმის მხარეები,

წარმოადგენენ რა ოზონის შრის დაცვის შესახებ ვენის კონვენციის მხარეებს,

ზრუნავენ რა კონვენციის შესაბამისად მათ მიერ აღებულ ვალდებულებებზე სათანადო ზომების გატარების შესახებ ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვისათვის იმ მავნე ზემოქმედების საწინააღმდეგოდ, რომელიც წარმოადგენს ან შესაძლებელია წარმოადგენდეს ადამიანის ისეთი საქმიანობის შედეგს, რომელიც ცვლის ან შეუძლია შეცვალოს ოზონის შრე,

აღიარებენ რა, რომ მსოფლიო მასშტაბით ოზონის შრის დამშლელ ზოგიერთი ნივთიერების გამოფრქვევას შეუძლია მნიშვნელოვნად დაშალოს ან ისე შეცვალოს ოზონის შრე, რომ შესაძლოა გამოიწვიოს ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე მავნე მოქმედება,

აცნობიერებენ რა ასეთი ნივთიერებების გამოფრქვევის პოტენციურ მოქმედებას კლიმატზე,

ესმით რა, რომ ოზონის შრის დაშლისაგან დაცვისათვის გასატარებელი ზომები უნდა ეყრდნობოდეს სათანადო სამეცნიერო ცოდნას ეკონომიკური და ტექნიკური მოსაზრებების გათვალისწინებით,

აღსავსენი გადაწყვეტილებით, რომ უზრუნველყონ ოზონის შრის დაცვა პრევენტიული ზომების გატარებით მისი დამშლელი ნივთიერებების შედარებით გლობალური გაფრქვევების რეგულირებით, საბოლოო ჯამში მათი აღმოფხვრის მიზნით, მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით, ტექნიკური და ეკონომიკური მოსაზრებების გათვალისწინებით,

აღიარებენ რა, განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ამ ნივთიერებებთან მიმართებაში განსაკუთრებული მიდგომების გათვალისწინების აუცილებლობას,

ითვალისწინებენ რა, რომ ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე უკვე გატარდა პრევენტიული ზომები ზოგიერთი ქლოროფტორნაჰშირბადების გაფრქვევის რეგულირებისათვის,

მხედველობაში იღებენ რა, საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელშეწყობის დიდ მნიშვნელობას კვლევის და მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებისათვის ოზონის შრის დამშლელი ნივთიერებების რეგულირებისა და გაფრქვევების შემცირების სფეროში, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებების გათვალისწინებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1: განსაზღვრებანი

წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის:

1. “კონვენცია” ნიშნავს 1985 წლის 22 მარტს მიღებულ ვენის კონვენციას ოზონის შრის დაცვის შესახებ.
2. “მხარეები”, თუ კონტექსტი არ ვარაუდობს სხვას, ნიშნავს წინამდებარე ოქმის მხარეებს.
3. “სამდივნო” ნიშნავს კონვენციის სამდივნოს.
4. “რეგულირებადი ნივთიერება” ნიშნავს წინამდებარე ოქმის A დანართში ჩამოთვლილ ნივთიერებათაგანს, რომელიც არსებობს დამოუკიდებელი სახით ან ნარევეში. თუმცა გამოირიცხება ნებისმიერი ასეთი ნივთიერება ან მისი ნარევი, რომელიც ნაწარმოებ პროდუქტში სხვა ვიდრე ჩამონათვალში მყოფი ნივთიერების ტრანსპორტირების ან დასაწყობებისათვის გამოყენებული ტევადობა.
5. “წარმოება” ნიშნავს წარმოებული რეგულირებადი ნივთიერებების რაოდენობას იმ რაოდენობის გამოკლებით, რომელიც განადგურებულია მხარეების მიერ შეთანხმებული ტექნოლოგიებით.
6. “მოხმარება” ნიშნავს რეგულირებადი ნივთიერებების წარმოებას დამატებული იმპორტი და გამოკლებული ექსპორტი.
7. “განგარიშებული დონეები” წარმოების, იმპორტის, ექსპორტისა და მოხმარებისა ნიშნავს მე-3 მუხლის შესაბამისად განსაზღვრულ დონეებს.
8. “სამრეწველო რაციონალიზაცია” ნიშნავს ერთი მხარის მიერ მეორისადმი წარმოების განგარიშებული დონის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას ეკონომიკური უზრუნველყოფის მიღწევის მიზნით ან საწარმოების დახურვის შედეგად მოსალოდნელი მიწოდების დეფიციტთან დაკავშირებით.

მუხლი 2: მარეგულირებელი ზომები

5. ნებისმიერ მხარეს, რომლის A დანართის I ჯგუფის რეგულირებადი ნივთიერებების წარმოების განგარიშებული დონე 1986 წელს უფრო ნაკლები იყო წლიურად ვიდრე ოცდახუთი ათასი კილოტონა, შეუძლია გადასცეს ნებისმიერ სხვა მხარეს ან მიიღოს მისგან სამრეწველო რაციონალიზაციის მიზნით, ის წარმოება, რომელიც აღემატება I, მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებულ ზღვრებს იმ პირობით, რომ ამ მხარეების საერთო განგარიშებული დონე არ გადის ამ მუხლით განსაზღვრული შეზღუდვების საზღვრებიდან. ამგვარი წარმოების ნებისმიერი გადაცემის შესახებ შეტყობინება ეგზავნება სამდივნოს არა უგვიანეს გადაცემის თარიღისა.
6. ნებისმიერ მხარეს, რომელიც არ მოქმედებს მე-5 მუხლის ფარგლებში და რომელსაც გააჩნია რეგულირებადი ნივთიერებების მწარმოებელი სიმძლავრეები, რომლებიც მშენებლობის სტადიაშია ან რომელთა დაკავშირებით მიღებულია კონტრაქტული ვალდებულებები 1987 წლის 16 სექტემბრამდე და რომლებიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით 1987 წლის 1 იანვრამდე, შეუძლია 1986 წელს ასეთი ნივთიერების წარმოების განგარიშებულ დონეს დაამატოს ამ სიმძლავრეების პროდუქცია იმ მიზნით, რომ განსაზღვროს 1986 წელში თავისი წარმოების განგარიშებული დონე იმ პირობით, რომ ამ სიმძლავრეთა მშენებლობა დასრულდება 1990 წლის 31 დეკემბრამდე და ასეთი წარმოება არ გამოიწვევს ამ მხარეებში რეგულირებადი ნივთიერებების ყოველწლიური მოხმარების მატებას 1 სულ მოსახლეზე 0.5 კგ-ზე მეტი რაოდენობით.
7. წარმოების ნებისმიერ გადაცემაზე, თანახმად მე-5 პუნქტისა ან წარმოების ნებისმიერ გაზრდაზე, თანახმად მე-6 პუნქტისა, შეტყობინება ეგზავნება სამდივნოს არა უგვიანეს ასეთი გადაცემის ან გაზრდის ვადისა.

8. (a) ნებისმიერ მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოებს, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციის I მუხლის მე-6 პუნქტში, შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ ისინი ერთობლივად ასრულებენ მოხმარებასთან დაკავშირებულ თავიანთ ვალდებულებებს ამ მუხლის შესაბამისად იმ პირობით, რომ მათი მოხმარების საერთო ჯამური გაანგარიშებული ღირებულება არ აღემატებოდეს ამ მუხლში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

(b) ნებისმიერ ასეთ შეთანხმებაში მონაწილე მხარეები ატყობინებენ სამდივნოს აღნიშნული შეთანხმების პირობებს იმ მოხმარების შემცირების ვადადღე, რომელიც წარმოადგენს შეთანხმების საგანს.

(c) ასეთი შეთანხმება შედის ძალაში იმ შემთხვევაში, თუკი ეკონომიკური ინტეგრაციის ამ რეგიონალური ორგანიზაციის ყველა წევრი-სახელმწიფო და თვით რეგიონალური ორგანიზაცია წარმოადგენენ ოქმის მხარეებს და აცნობეს სამდივნოს იმის შესახებ, თუ როგორ უზრუნველყოფენ ისინი მის შესრულებას.

9. (a) მე-6 მუხლის შესაბამისად ჩატარებული შეფასების საფუძველზე მხარეებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება:

(i) შეტანილ იქნას თუ არა შესწორებები დანართ A-ში ოზონდამშლელ პოტენციალთან დაკავშირებით, და თუ ასეა, რა სახის უნდა იყოს ეს შესწორებები; და

(ii) შეტანილ იქნას თუ არა შემდგომი შესწორებები და რეგულირებადი ნივთიერების მოხმარების ან წარმოების შემცირებები 1986 წლის დონესთან შედარებით, და თუ ასეა, რა მოცულობით, რაოდენობით და რა დროში უნდა გატარდეს ამგვარი შესწორებების და შემცირებების შეტანა;

(b) წინადადებები ამგვარი შესწორებების შესახებ სამდივნოს მიერ დაეგზავნება მხარეებს სულ მცირე ექვსი თვით ადრე მხარეთა შეხვედრამდე, რომელზეც განიხილება შემოსული წინადადებები მიღების მიზნით;

(c) ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას მხარეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მიიღონ შეთანხმებას კონსენსუსის გზით. თუკი, მიუხედავად ყოველგვარი ძალისხმევისა, კონსენსუსის გზით შეთანხმება არ იქნა მიღწეული, მაშინ ასეთი გადაწყვეტილებები უკიდურეს შემთხვევაში მიიღება კენჭისყრით დამსწრე და მონაწილე მხარეთა 2/3-ის უმრავლესობით, რომელთა მოხმარებაც წარმოადგენს მხარეთა მიერ რეგულირებადი ნივთიერებების საერთო მოხმარების არა ნაკლებ ორმოცდაათ პროცენტს;

(d) გადაწყვეტილებები, რომლებიც აუცილებელია ყველა მხარისათვის, დაუყოვნებლივ დაეგზავნება მხარეებს დეპოზიტარის მიერ. თუ გადაწყვეტილებები არ შეიცავს სხვა მითითებებს, ისინი ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ შეტყობინების გავრცელების თარიღიდან ექვსი თვის ვადაში;

10. (a) წინამდებარე ოქმის მე-6 მუხლის შესაბამისად ჩატარებული შეფასებების საფუძველზე და კონვენციის მე-9 მუხლში ჩადებული პროცედურის თანახმად მხარეებს შეუძლიათ გადაწყვიტონ:

(i) იქნას თუ არა დამატებული ან ამოღებული გარკვეული ნივთიერებები წინამდებარე ოქმის ნებისმიერ დანართში, და თუ ასეა, რომელი ნივთიერებები;

(ii) მარეგულირებელი ზომების რა მექანიზმი, მოცულობა და ვადები გამოიყენება ამ ნივთიერებების მიმართ;

(b) ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება შედის ძალაში თუ იგი მიღებულია დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე მხარეთა 2/3-ის უმრავლესობით.

11. მიუხედავად ამ მუხლში შესული დებულებებისა, მხარეებს შეუძლიათ გაატარონ უფრო მკაცრი ზომები, ვიდრე გათვალისწინებულია ამ მუხლით.

მუხლი 2A: CFC-ები

1. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ თორმეტთვიანი პერიოდისათვის, რომელიც იწყება წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღიდან მეშვიდე თვის პირველ დღეს, და

შემდგომ, ყოველი თორმეტი თვის პერიოდულობით მის მიერ A დანართის I ჯგუფის რეგულირებადი ნივთიერებების მოხმარების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა 1986 წლის მოხმარების გაანგარიშებულ დონეს. იგივე პერიოდების ბოლოსათვის ყოველი მხარე, რომელიც აწარმოებს ერთს ან რამოდენიმეს ამ ნივთიერებათაგან, უზრუნველყოფს, რომ ამ ნივთიერებათა წარმოების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა მათი 1986 წლის წარმოების გაანგარიშებულ დონეს, იმ გამონაკლისით, რომ ეს დონე შესაძლოა გაიზარდა, მაგრამ არა მეტად, ვიდრე 1986 წლის დონის 10 პროცენტით. ამგვარი ზრდა დაიშვება მხოლოდ ძირითადი შიდა მითხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იმ მხარეებისათვის, რომლებიც მოქმედებენ მე-5 მუხლის შესაბამისად და მხარეთა შორის სამრეწველო რაციონალიზაციის მიზნით.

2. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ 1991 წლის 1 ივლისიდან 1992 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისათვის A დანართის I ჯგუფის რეგულირებადი ნივთიერებების მოხმარების და წარმოების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა ამ ნივთიერებათა 1986 წლის წარმოების და მოხმარების გაანგარიშებული დონის 150 პროცენტს; დაწყებული 1993 წლის 1 იანვრიდან ამ რეგულირებადი ნივთიერებების რეგულირების თორმეტთვიანი პერიოდი იყოს ყოველი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

3. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ თორმეტთვიანი პერიოდისათვის, რომელიც იწყება 1994 წლის 1 იანვრიდან, და შემდგომ, ყოველი თორმეტი თვის პერიოდულობით მის მიერ A დანართის I ჯგუფის რეგულირებადი ნივთიერებების მოხმარების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა, წლიურად, 1986 წლის მოხმარების გაანგარიშებული დონის ოცდახუთ პროცენტს. ყოველი მხარე, რომელიც აწარმოებს ერთს ან მეტს ამ ნივთიერებათაგან, იგივე პერიოდებისათვის უზრუნველყოფს, რომ ამ ნივთიერებების წარმოების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა, წლიურად, 1986 წლის წარმოების გაანგარიშებული დონის ოცდახუთ პროცენტს. თუმცა, მე-5 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მოქმედი ქვეყნებისათვის, ძირითადი შიდა მითხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მათი წარმოების გაანგარიშებულმა დონემ შეიძლება გადააჭარბოს ამ ზღვარს 1986 წლის წარმოების გაანგარიშებული დონის ათი პროცენტით.

4. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ თორმეტთვიანი პერიოდისათვის, რომელიც იწყება 1996 წლის 1 იანვრიდან, და შემდგომ, ყოველი თორმეტი თვის პერიოდულობით მის მიერ A დანართის I ჯგუფის რეგულირებადი ნივთიერებების მოხმარების გაანგარიშებული დონე, წლიურად, არ აღემატებოდა ნულს. ყოველი მხარე, რომელიც აწარმოებს ერთს ან მეტს ამ ნივთიერებათაგან, იგივე პერიოდებისათვის უზრუნველყოფს, რომ ამ ნივთიერებების წარმოების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა ნულს. თუმცა, მე-5 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მოქმედი ქვეყნების ძირითადი შიდა მითხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მათი წარმოების გაანგარიშებულმა დონემ შეიძლება გადააჭარბოს ამ ზღვარს 1986 წლის წარმოების გაანგარიშებული დონის თხუთმეტი პროცენტით. ეს პუნქტი გამოიყენება ყოველთვის გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები გადაწყვეტენ დაუშვან წარმოებისა და მოხმარების ის დონე, რომელიც აუცილებელია მათ მიერ გარდაუვალად შეთანხმებული გამოყენებების დაკმაყოფილებისათვის.

მუხლი 2B: ჰალონები

1. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ თორმეტთვიანი პერიოდისათვის, დაწყებული 1992 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი შემდგომი თორმეტთვიანი პერიოდისათვის მის მიერ A დანართის II ჯგუფის რეგულირებადი ნივთიერებების მოხმარების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა, წლიურად, 1986 წლის მოხმარების გაანგარიშებულ დონეს. ყოველი მხარე, რომელიც აწარმოებს ერთს ან მეტს ამ ნივთიერებათაგან, იგივე პერიოდებისათვის უზრუნველყოფს, რომ ამ ნივთიერებების წარმოების გაანგარიშებული დონე არ აღემატებოდა, წლიურად, 1986 წლის წარმოების გაანგარიშებულ დონეს. თუმცა, მე-5 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მოქმედი ქვეყნების ძირითადი შიდა მითხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მათი

წარმოების გაანგარიშებულმა ღონემ შეიძლება გადააჭარბოს ამ ზღვარს 1986 წლის წარმოების გაანგარიშებული ღონის ათი პროცენტით.

2. ყოველი მხარე უზრუნველყოფს, რომ თორმეტთვიანი პერიოდისათვის, რომელიც იწყება 1994 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი შემდგომი თორმეტთვიანი პერიოდისათვის, მის მიერ A დანართის II ჯგუფის რეგულირებადი ნივთიერებების მოხმარების გაანგარიშებული ღონე, წლიურად, არ აღემატებოდეს ნულს. ყოველი მხარე, რომელიც აწარმოებს ერთს ან მეტს ამ ნივთიერებათაგან, იგივე პერიოდისათვის უზრუნველყოფს, რომ ამ ნივთიერებების წარმოების გაანგარიშებული ღონე არ აღემატებოდეს ნულს. თუმცა, მე-5 მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად მოქმედი ქვეყნების ძირითადი შიდა მითხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მისი წარმოების გაანგარიშებულმა ღონემ შეიძლება გადააჭარბოს ამ ზღვარს 1986 წლის წარმოების გაანგარიშებული ღონის თხუთმეტი პროცენტით. ეს პუნქტი გამოიყენება ყოველთვის გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეები გადაწყვიტენ დაუშვან წარმოებისა და მოხმარების ის ღონე, რომელიც აუცილებელია მათ მიერ გარდაუვალად შეთანხმებული გამოყენებების დაკმაყოფილებისათვის.

მუხლი 3: საკონტროლო ღონეების გაანგარიშება

მე-2 და მე-5 მუხლების მიზნებისათვის ყოველი მხარე A დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების ყოველი ჯგუფისათვის განსაზღვრავს მის გაანგარიშებულ ღონეს შემდეგის მიხედვით:

- (a) წარმოება:
 - (i) ამრავლებენ ყოველი რეგულირებადი ნივთიერების წლიურ წარმოებას A დანართში მითითებულ მის ოზონის დაშლის პოტენციალზე; და
 - (ii) შეაჯამებენ თითოეული ამგვარი ჯგუფისათვის მიღებულ მაჩვენებლებს;
- (b) იმპორტი და ექსპორტი, *mutatis mutandis* მიხედვით და (a) ქვეპუნქტში მოყვანილი პროცედურის თანახმად, შესაბამისად; და
- (c) მოხმარება, რაც განისაზღვრება საკუთარი წარმოების და იმპორტის გაანგარიშებული ღონეების შეჯამებით და ექსპორტის გაანგარიშებული ღონის გამოკლებით, როგორც ეს განსაზღვრულია (a) და (b) ქვეპუნქტებით. მაგრამ დაწყებული 1993 წლის იანვრიდან, რეგულირებადი ნივთიერებების ნებისმიერი ექსპორტი არა-მხარე ქვეყნებისათვის ექსპორტის მწარმოებელი ქვეყნისათვის არ უნდა გამოაკლდეს მისი მოხმარების ღონის გაანგარიშების დროს.

მუხლი 4: არა-მხარე ქვეყნებთან ვაჭრობის რეგულირება

1. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ყოველმა მხარემ უნდა აკრძალოს რეგულირებადი ნივთიერებების იმპორტი ნებისმიერი ქვეყნიდან, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეს;
2. დაწყებული 1993 წლის 1 იანვრიდან, მე-5 მუხლის 1 პუნქტის ფარგლებში მოქმედ არცერთ მხარეს არ შეუძლია არცერთი რეგულირებადი ნივთიერების ექსპორტი ნებისმიერ იმ ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეს.
3. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში მხარეები, კონვენციის მე-10 მუხლის პროცედურების შესაბამისად, დანართის სახით შეიმუშავენ იმ ნაწარმების ჩამონათვალს, რომელიც შეიცავს რეგულირებად ნივთიერებებს. მხარეები, რომლებიც არ არიან წინააღმდეგი დანართისა, ამ პროცედურების შესაბამისად, დანართის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ვალდებული არიან აკრძალონ აღნიშნული ნაწარმების იმპორტი ნებისმიერი ქვეყნიდან, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეს.
4. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში მხარეები განსაზღვრავენ აკრძალვის ან შეზღუდვის ტექნიკურ-ეკონომიკურ შესაძლებლობებს ამ ოქმის

არა-მხარე ქვეყნიდან იმ ნაწარმის იმპორტზე, რომელიც წარმოებულია რეგულირებადი ნივთიერებების საფუძველზე, მაგრამ არ შეიცავს მათ. მხარეები, თუკი ჩათვლიან ამას შესაძლებლად ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, კონვენციის მე-10 მუხლის პროცედურების შესაბამისად, შეიმუშავენ ამგვარი ნაწარმის ჩამონათვალს დანართის სახით. მხარეები, რომლებიც არ არიან ამის წინააღმდეგი, აღნიშნული პროცედურების შესაბამისად, დანართის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში კრძალავენ ან ზღუდავენ ამ ნაწარმის იმპორტს ნებისმიერი ქვეყნიდან, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეს.

5. ყოველი მხარე წინააღმდეგია რეგულირებადი ნივთიერებების წარმოების და გამოყენების ტექნოლოგიების ექსპორტისა ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეს.

6. ყოველი მხარე თავს იკავებს გასცეს ახალი სუბსიდიები, დახმარება, კრედიტები, გარანტიები ან დაზღვევის პროგრამები რეგულირებადი ნივთიერებების წარმოების ხელშემწყობი ნაწარმის, აღჭურვილობის, დანადგარების ან ტექნოლოგიების ექსპორტისათვის იმ ქვეყანაში, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეს.

7. მე-5 და მე-6 პუნქტები არ გამოიყენება იმ ნაწარმის, აღჭურვილობის, დანადგარების ან ტექნოლოგიების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს რეგულირებადი ნივთიერებების უსაფრთხო შენახვას, გადაამუშავებას, რეციკლირებასა თუ განადგურებას; ხელს უწყობს ალტერნატიული ნივთიერებების მოპოვებას ან სხვა სახით შეაქვს წვლილი რეგულირებადი ნივთიერებების გაფრქვევის შემცირებაში.

8. მიუხედავად ამ მუხლის დებულებებისა იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია I, მე-3 და მე-4 პუნქტებით ნებისმიერი ქვეყნიდან, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მხარეს, შესაძლებელია იქნას დაშვებული, თუკი მხარეთა შეხვედრის მიერ განისაზღვრება, რომ ეს ქვეყანა იმყოფება სრულ შესაბამისობაში მე-2 მუხლთან და ამ მუხლთან და თუ მან წარმოადგინა მონაცემები ამის შესახებ ისე, როგორც ეს განსაზღვრულია მე-7 მუხლით.

მუხლი 5: განვითარებადი ქვეყნების განსაკუთრებული მდგომარეობა

1. ნებისმიერ მხარეს, რომელიც წარმოადგენს განვითარებად ქვეყანას და რომლისთვისაც რეგულირებადი ნივთიერებების მოხმარების წლიური გაანგარიშებული დონე ნაკლებია ვიდრე 0.3 კილოგრამი ერთ სულ მოსახლეზე, წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღისათვის, ან შემდგომი 10 წლის განმავლობაში, ძირითადი შიდა მითხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით შეუძლია გადაავადოს მის მიერ 2A მუხლის 1-4 პუნქტებში ჩამოყალიბებული რეგულირების ღონისძიებების შესრულება მითითებული ვადის შემდეგ 10 წლით. მაგრამ ასეთი მხარე არ აჭარბებს მოხმარების წლიურ გაანგარიშებულ დონეს – 0.3 კილოგრამს სულ მოსახლეზე. ნებისმიერ ასეთ მხარეს რეგულირების ღონისძიებების შესრულების უზრუნველსაყოფად აქვს უფლება გამოიყენოს ან მისი წლიური მოხმარების გაანგარიშებული დონის საშუალო მაჩვენებელი 1995 წლიდან 1997 წლამდე პერიოდისათვის ან ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების გაანგარიშებული დონე 0.3 კილოგრამის მოცულობით იმისდა მიხედვით, თუ რომელია უფრო დაბალი.

2. მხარეები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო ალტერნატიული ნივთიერებების ხელმისაწვდომობას იმ მხარეთათვის, რომლებიც წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებს და დახმარება გაუწიონ მათ ასეთი ალტერნატივების გამოყენების დაჩქარების საქმეში.

3. მხარეები მოვალენი არიან ორმხრივი და მრავალმხრივი გზებით ხელი შეუწყონ იმ მხარეებისთვის სუბსიდიების, დახმარების, კრედიტების, გარანტიების და დაზღვევების პროგრამების მიღებას ალტერნატიული ტექნოლოგიების და შემცველი პროდუქციის გამოყენების საქმეში, რომლებიც წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებს.

მუხლი 6: რეგულირების ღონისძიებების შეფასება და მიმოხილვა

დაწყებული 1990 წლიდან, და შემდგომ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც, მხარეები აფასებენ მე-2 მუხლით გათვალისწინებულ რეგულირების ღონისძიებებს ხელმისაწვდომი სამეცნიერო, გარემოსდაცვითი, ტექნიკური და ეკონომიკური ინფორმაციის საფუძველზე. ყოველი ასეთი შეფასების ჩატარებამდე ერთი წლით ადრე მხარეები იწვევენ აღნიშნულ სფეროებში კვალიფიციური ექსპერტების სათანადო კომისიებს და განსაზღვრავენ ამ კომისიების შემადგენლობასა და კომპეტენციას. მოწვევიდან ერთი წლის განმავლობაში კომისიები სამდივნოს მეშვეობით მოახსენებენ მხარეებს თავიანთ დასკვნებს.

მუხლი 7: მონაცემთა წარდგენა

1. თითოეული მხარე, მხარედ გახდომიდან 3 თვის განმავლობაში, წარუდგენს სამდივნოს ყოველი რეგულირებადი ნივთიერების წარმოების, იმპორტის და ექსპორტის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს 1986 წლისათვის ან ამ მონაცემის შეძლებისდაგვარ საუკეთესო შეფასებებს თუ თვით მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი.

2. ყოველი მხარე სამდივნოს წარუდგენს სტატისტიკურ მონაცემებს მის მიერ წლიური წარმოების შესახებ (ცალკე იქნება მონაცემები მხარეთა მიერ დამტკიცებული ტექნოლოგიების გამოყენებით განადგურებული რაოდენობების შესახებ), ამ ნივთიერებების იმპორტის და ექსპორტის შესახებ მხარეებში ან არა-მხარეებში, შესაბამისად, მხარედ გახდომის წლისათვის და შემდგომში ყოველწლიურად. თითოეული მხარე გადასცემს მონაცემებს არაუგვიანესი ცხრა თვისა იმ წლის ბოლოდან, რომელსაც განეკუთვნება ეს მონაცემები.

მუხლი 8: არ შესრულება

მხარეები, თავის პირველ შეხვედრაზე, განიხილავენ და დაადგენენ პროცედურებს და ინსტიტუციონალურ მექანიზმებს წინამდებარე ოქმის დებულებების არ შესრულების განსაზღვრისათვის და იმ მხარეების მიმართ მოპყრობის შესახებ, რომლებიც ჩაითვლება არ შემსრულებლებად.

მუხლი 9: კვლევა, განვითარება, საზოგადოების ინფორმირება და ინფორმაციის გაცვლა

1. მხარეები თანამშრომლობენ, მათი ეროვნული კანონმდებლობის, მარეგულირებელი დოკუმენტების და პრაქტიკის შესაბამისად, იღებენ რა მხედველობაში განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებებს, უშუალოდ ან კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით, კვლევის, განვითარების და ინფორმაციის გაცვლის ხელშესაწობად, შემდეგ საკითხებში:

(a) საუკეთესო ტექნოლოგიები რეგულირებადი ნივთიერებების შეზღუდვის, შეგროვების, რეციკლირების ან განადგურების გაუმჯობესებისათვის ან მათი გაფრქვევების სხვა გზებით შემცირებისათვის;

(b) რეგულირებადი ნივთიერებების შესაძლებელი ალტერნატივები, ასეთი ნივთიერებების შემცველი და მათი მეშვეობით მიღებული ნაწარმისათვის; და

(c) შესაბამისი მარეგულირებელი სტრატეგიების დანახარჯები და სარგებელი

2. მხარეები ინდივიდუალურად, ერთობლივად ან კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებით, თანამშრომლობენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისათვის იმ რეგულირებადი ნივთიერებების და ოზონის შრის დამწლეული სხვა ნივთიერებების გაფრქვევების გარემოზე ზემოქმედების საკითხში.

3. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან ორი წლის და ყოველი შემდგომი ორი წლის განმავლობაში, ყოველი მხარე წარუდგენს სამდივნოს იმ საქმიანობის მოკლე აღწერილობას, რომელიც ამ მუხლის შესაბამისად იქნა ჩატარებული.

მუხლი 10: ტექნიკური დახმარება

1. მხარეები, კონვენციის მე-4 მუხლის დებულებების კონტექსტში და განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნილებების გათვალისწინებით, თანამშრომლობენ ტექნიკური დახმარების აღმოჩენის გზით წინამდებარე ოქმის შესრულებაში მონაწილეობისა და განხორციელების ხელშესაწყობად.

2. წინამდებარე ოქმის ნებისმიერ მხარეს ან ხელის მომწერს შეუძლია მიმართოს სამდივნოს მოთხოვნით ტექნიკური დახმარებისათვის ოქმის განხორციელების ან მასში მონაწილეობის მიზნით.

3. მხარეები, თავიანთ პირველ შეხვედრაზე, იწყებენ მოლაპარაკებას მე-9 მუხლისა და მისი I და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, სამუშაო გეგმების მომზადების ჩათვლით. ასეთ სამუშაო გეგმებში განსაკუთრებულ ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებსა და პირობებს. ქვეყნებს და რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციებს, რომლებიც არ წარმოადგენენ წინამდებარე ოქმის მხარეებს, ხელი უნდა შეეწყოს ასეთი სამუშაო გეგმებით განსაზღვრულ ქმედებებში მონაწილეობისათვის.

მუხლი 11: მხარეთა შეხვედრები

1. მხარეები ატარებენ შეხვედრებს რეგულარული ინტერვალებით. სამდივნო იწვევს მხარეთა პირველ შეხვედრას არა უგვიანეს ერთი წლისა წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის თარიღიდან და კონვენციის მხარეთა კონფერენციის შეხვედრასთან ერთად, თუკი ეს უკანასკნელი დანიშნულია ამ პერიოდისათვის.

2. თუ მხარეები არ მიიღებენ სხვა გადაწყვეტილებას, რიგით მომდევნო შეხვედრები ტარდება კონვენციის მხარეთა კონფერენციებთან ერთად. მხარეთა რიგგარეშე შეხვედრები შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერ სხვა დროს მხარეთა ნებისმიერი შეხვედრის გადაწყვეტილებით, ან ნებისმიერი მხარის წერილობითი თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ სამდივნოს მიერ მხარეებისადმი ასეთი მოთხოვნის დაგზავნის თარიღიდან არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში ამ მოთხოვნას მხარს დაუჭერს მხარეთა არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

3. მხარეები თავიანთ პირველ შეხვედრაზე:

(a) იღებენ კონსენსუსის გზით თავიანთი შეხვედრების პროცედურის წესებს;

(b) იღებენ კონსენსუსის გზით მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ფინანსურ წესებს;

(c) აყალიბებენ კომისიებს და განსაზღვრავენ მოქმედების სფეროს მე-6 მუხლის შესაბამისად;

(d) განიხილავენ და ამტკიცებენ პროცედურებსა და საინსტიტუციო მექანიზმებს მე-8 მუხლის შესაბამისად; და

(e) იწყებენ სამუშაო გეგმების შემუშავებას მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

4. მხარეთა შეხვედრების ფუნქციები მდგომარეობს შემდეგში:

(a) წინამდებარე ოქმის განხორციელების მიმოხილვა;

(b) გადაწყვეტილების მიღება ნებისმიერი შესწორებებისა და შემცირებების შესახებ მე-2 მუხლის მე-9 პუნქტის მითითებების შესაბამისად;

(c) გადაწყვეტილების მიღება ნივთიერებების ნებისმიერ დანართში რეგულირებადი ნივთიერებების დამატების, ჩასმის და ამოღების და შესაბამისი მარეგულირებელი ღონისძიებების შესახებ მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად;

(d) შექმნას, საჭიროებისამებრ, მე-7 მუხლისა და მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენისათვის სახელმძღვანელო პრინციპები ან პროცედურები;

(e) განიხილოს შემოსული მოთხოვნები ტექნიკური დანხარების შესახებ, რაც გათვალისწინებულია მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით;

(f) განიხილოს სამდივნოს მიერ მომზადებული მოხსენებები, რაც გათვალისწინებულია მე-12 მუხლის (c) ქვეპუნქტით;

(g) შეაფასოს, მე-6 მუხლის შესაბამისად, მარეგულირებელი ღონისძიებები, რაც გათვალისწინებულია მე-2 მუხლში;

(h) განიხილოს და მიიღოს, დადგენილი წესით, წინადადებები წინამდებარე ოქმში ან ნებისმიერ დანართში შესწორებების შეტანის და ნებისმიერო ახალი დანართის შესახებ;

(i) განიხილოს და მიიღოს ბიუჯეტი წინამდებარე ოქმის განხორციელებისათვის;

(j) განიხილოს და მიიღოს ნებისმიერი დამატებითი ქმედება, რომელიც შესაძლებელია გახდეს საჭირო წინამდებარე ოქმის მიზნების მისაღწევად.

5. გაერთიანებული ერები, მისი სპეციალიზირებული სააგენტოები და ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო, აგრეთვე წინამდებარე ოქმის არა-მხარე ნებისმიერი ქვეყანა შესაძლოა წარმოდგენილი იქნეს მხარეთა შეხვედრაზე დამკვირვებლის სტატუსით. ნებისმიერი ორგანიზაცია ან სააგენტო, მიუხედავად იმისა ეროვნულია თუ საერთაშორისო, სამთავრობო თუ არასამთავრობო, რომელიც სპეციალიზირებულია ოზონის შრის დაცვასთან დაკავშირებულ სფეროებში და რომელმაც შეატყობინა სამდივნოს თავისი სურვილის შესახებ წარმოდგენილი იქნას დამკვირვებლად მხარეთა შეხვედრაზე, შეიძლება დაშვებულ იქნას შეხვედრაზე, თუ ამის წინააღმდეგი არ არის დამსწრე მხარეთა ერთი მესამედი. დამკვირვებლების დაშვება და მონაწილეობა წარმოადგენს მხარეთა შეხვედრის მიერ მიღებული პროცედურის შესახებ წესების საგანს.

მუხლი 12: სამდივნო

წინამდებარე ოქმის მიზნებისათვის სამდივნო:

(a) ორგანიზებას უკეთებს და ემსახურება მხარეთა შეხვედრებს, როგორც გათვალისწინებულია მე-11 მუხლით;

(b) იღებს და ავრცელებს, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მონაცემებს, რომელთა წარდგენა ხდება მე-7 მუხლის შესაბამისად;

(c) შეიმუშავებს და რეგულარულად უგზავნის მხარეებს მოხსენებებს, რომლებიც ეყრდნობა მე-7 და მე-9 მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციას;

(d) ატყობინებს მხარეებს მე-10 მუხლის შესაბამისად მიღებულ ნებისმიერ მოთხოვნას ტექნიკური დანხარების შესახებ, ასეთი დანხარების გაცემის ხელშეწყობის მიზნით;

(e) მოუწოდებს არა-მხარე სახელმწიფოებს მხარეთა შეხვედრებზე დასასწრებად დამკვირვებლების სტატუსით და ოქმის დებულებების შესაბამისად სამოქმედოდ;

(f) აწვდის, როგორც დადგენილია, ინფორმაციას და მოთხოვნებს (c) და (d) ქვეპუნქტების შესაბამისად ასეთ არა-მხარეთა წარმომადგენელ დამკვირვებლებს; და

(g) ასრულებს სხვა ნებისმიერ, მხარეების მიერ მასზე დაკისრებულ, ფუნქციებს წინამდებარე ოქმის მიზნების მისაღწევად.

მუხლი 13: ფინანსური დებულებები

1. წინამდებარე ოქმის განხორციელებისათვის აუცილებელი სახსრები, ოქმთან დაკავშირებით სამდივნოს ფუნქციონირების ჩათვლით, ანაზღაურებული იქნება მხოლოდდამხოლოდ მხარეთა შენატანების ხარჯზე;

2. მხარეები, თავიანთ პირველ შეხვედრაზე, კონსენსუსის გზით მიიღებენ წინამდებარე ოქმის შესრულებისათვის აუცილებელ საფინანსო წესებს.

მუხლი 14: წინამდებარე ოქმის კავშირი კონვენციასთან

თუ წინამდებარე ოქმში სხვაგვარად არ არის მითითებული, გამოიყენება ოქმებთან დაკავშირებით მიღებული კონვენციის დებულებები.

მუხლი 15: ხელმოწერა

წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად სახელმწიფოებისა და რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციებისათვის მონრეალში 1987 წლის 16 სექტემბრიდან, ოტავაში – 1987 წლის 17 სექტემბრიდან 1988 წლის 16 იანვრამდე და გაეროს შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკში 1988 წლის 17 იანვრიდან 1988 წლის 15 სექტემბრამდე.

მუხლი 16: ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის 1989 წლის 1 იანვრიდან იმ პირობით, რომ ოქმის რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მასთან შეერთების შესახებ არა ნაკლებ 11 სიგელისა არის გადაცემული დეპოზიტარზე სახელმწიფოებისა ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ასახავს რეგულირებადი ნივთიერებების 1986 წლისათვის მოსალოდნელი გლობალური მოხმარების არანაკლებ ორ მესამედს და კონვენციის მე-17 მუხლის I პუნქტის დებულებების შესრულებას. თუ ამ თარიღისათვის მითითებული პირობები არ შესრულდა, წინამდებარე ოქმი შევა ძალაში ამ პირობის შესრულების თარიღიდან 90-ე დღეს.
2. I პუნქტის მიზნებისათვის, ეკონომიკური ინტეგრაციის რეგიონალური ორგანიზაციის მიერ დეპოზიტარზე გადაცემული ნებისმიერი სიგელი არ განიხილება როგორც დამატებითი იმ სიგელების მიმართ, რომლებიც გადაცემულია დეპოზიტარზე ასეთი ორგანიზაციის წევრ-სახელმწიფოების მიერ.
3. წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, ნებისმიერი სახელმწიფო ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაცია ხდება ოქმის მხარე რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების და შეერთების შესახებ მისი სიგელის დეპოზიტარზე გადაცემის თარიღიდან 90-ე დღეს.

მუხლი 17: მხარეები, რომლებიც ოქმს უერთდებიან მისი ძალაში შესვლის შემდეგ

მე-5 მუხლის შესაბამისად ნებისმიერი სახელმწიფო ან რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაცია, რომელიც ხდება ოქმის მხარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ ასრულებს მოვალეობათა კომპლექსს მე-2 მუხლის შესაბამისად, ისევე როგორც მე-4 მუხლის, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოსა თუ რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის ორგანიზაციისათვის იმ დღიდან, როდესაც ისინი გახდნენ წინამდებარე ოქმის მხარეები იმ დღიდან, როცა ოქმი შევიდა ძალაში.

მუხლი 18: შენიშვნა

წინამდებარე ოქმში არ დაიშვება შენიშვნების შეტანა.

მუხლი 19: გასვლა

კონვენციის მე-19 მუხლის დებულებები გასვლის შესახებ ვრცელდება წინამდებარე ოქმზე, გარდა იმ მხარეებისა, რომლებიც მითითებულია მე-5 მუხლის I პუნქტში. მე-2 მუხლის 1-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების მიღებიდან 4 წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს ნებისმიერ ასეთ მხარეს შეუძლია გავიდეს აღნიშნული ოქმიდან დეპოზიტარისადმი წერილობითი შეტყობინების წარდგენის საფუძველზე. ნებისმიერი ასეთი გასვლა ძალაში შედის დეპოზიტარის მიერ გასვლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ ან უფრო მოგვიანებით, როგორც შეიძლება მითითებული იყოს გასვლის შესახებ შეტყობინებაში.

მუხლი 20: აუთენტიური ტექსტები

წინამდებარე ოქმის დედანი, რომლის ტექსტები არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე ერთნაირად აუთენტიურია, შესანახად ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

რის დასტურადაც ქვემოთ ხელმოწერებმა, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილებმა, ხელი მოაწერეს წინამდებარე ოქმს.

შესრულებულია მონრეალში ათას ცხრაას ოთხმოცდაშვიდი წლის სექტემბრის თვის მეთექვსმეტე დღეს.

დანართი A: რეგულირებადი ნივთიერებები

ჯგუფი	ნივთიერება	ოზონდამშლელი პოტენციალი*
ჯგუფი I		
CFCl ₃	(CFC-11)	1.0
CF ₂ Cl ₂	(CFC-12)	1.0
C ₂ F ₃ Cl ₃	(CFC-113)	0.8
C ₂ F ₄ Cl ₂	(CFC-114)	1.0
C ₂ F ₅ Cl	(CFC-115)	0.6
ჯგუფი II		
CF ₂ BrCl	(ჰალონი-1211)	3.0
CF ₃ Br	(ჰალონი-1301)	10.0
C ₂ F ₄ Br ₂	(ჰალონი-2402)	6.0

* აღნიშნული ოზონდამშლელი პოტენციალები განსაზღვრულია არსებული ცოდნის საფუძველზე და ისინი პერიოდულად გადაისინჯება და შეიცვლება.

დანართი D:^{*} A დანართის რეგულირებადი ნივთიერებების შემცველი პროდუქციის^{**} ჩამონათვალი

პროდუქცია _____ საბაჟო კოდის ნომერი

1. მსუბუქი და მძიმე ავტომობილების კონდიციონერების დანადგარები
(იმისდა მიუხედავად ისინი მანქანებში არიან თუ არა)

2. საყოფაცხოვრებო და კომერციული სამაცივრო ტექნიკა და ჰაერის კონდიციონერების სისტემებისა და თბური ტუმბოების მოწყობილობანი^{***}
 - ე.ი. მაცივრები
 - საყინულეები
 - გამომშრობები
 - წლის გამაგრილებლები
 - ყინულგენერატორები
 - ჰაერის კონდიციონერების დანადგარები და თბური ტუმბოები

3. აეროზოლური პროდუქცია, გარდა სამედიცინო აეროზოლებისა

4. პორტატიული ცეცხლჩაქრობები

5. საიზოლაციო ფენები, პანელები და მილები

6. პოლიმერების ნედლეული

^{*} ეს დანართი მიღებულ იქნა 1991 წლის 21 ივნისს, ნაირობიში, მხარეთა მესამე შეხვედრაზე, როგორც მოითხოვს ოქმის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

^{**} გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტრანსპორტირება ხდება არაკომერციული მიზნით.

^{***} როდესაც პროდუქცია მაცივარაგენტად და/ან საიზოლაციო მასალად შეიცავს A დანართის რეგულირებად ნივთიერებებს.

